<u>პროექტი</u>

საქართველოს ორგანული კანონი

„საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონის (პარლამენტის უწყებანი, №001, 27.02.1996, გვ. 8) მე-18[1] მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,1. საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის ყოველთვიური თანამდებობრივი სარგოს განაკვეთის ოდენობა განისაზღვრება საქართველოს შესაბამისი წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონით დადგენილი საბაზო თანამდებობრივი სარგოს ნამრავლით შემდეგ სახელფასო კოეფიციენტზე:

ა) საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარისათვის – 10.00;

ბ) საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილისათვის, აგრეთვე საკონსტიტუციო სასამართლოს მდივნისათვის – 9.00;

გ) საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლისთვის, რომელსაც არ უკავია ზემოთ აღნიშნული თანამდებობები – 8.50.“.

მუხლი 2

ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ ყაველაშვილი